№ 61 2 თიბათვე, ხუთშაბათი 1866—1877 2 თიბათვე, ხუთშაბათი № 61

დროება

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ებრაულ ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასზე—1 კაპ., ასი მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გააასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამები

სტამბოლი 30 მაისს. დღეს ეგვიპტეს ჯარები ათის ხომალდით გამოვიდნენ ალექსანდრიიდამ და სტამბოლისაკენ გამოემგზავრნენ.

ათინა, 30 მაისს. ოსმალოს მთავრობამ უარ ჰყო მოთხოვნილება კანდიის ნაციონალურ კრებისა. ამის გამო ქრისტიანებმა გადაწყვიტეს, რომ თოფ-იარაღით დავიცვათ ჩვენი უფლებაო; ამ მოკლე ხანში ხალხის ადგომას მოელიან.)

ლონდონი, 31 მაისს. ბუშინ მკერვალთ გილდიის სადილზე სალსბიურიმ და დერბიმ წარმოსთქვეს სიტყვა, რომელშიაც აღმოსავლეთის საქმეებსაც შეეხნენ. დერბიმ სთქვა: „ინგლისი მზათ უნდა იყოს, რომ პასუხი აგოს ყველას, ვინც იმის ინტერესებს შეეხება. მაგრამ ყველაზე უფრო საჭირო ჩვენთვის მშვიდობიანობაა.“

ბუხარესტი, 30 მაისს. რუმინიის მინისტრები ბრატიანო და ქოგოლნიჩანო წავიდნენ პლოეშტში რუსებთან იმაზე მოსალაპარაკებლათ—თუ რუმინის ჯარმა ამ ომში რა გვარი მონაწილეობა უნდა მიიღოს.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

ბერლინელ კორრესპონდენტს გამოჩენილ ინგლისურის გაზეთის „ტაიმსისას“ მოჰყავს შემდეგი საინტერესო ცნობანი ოსმალეთის ჯარზე, რომელიც ევროპაში დაყენებულია:

მთელი ევროპის ოსმალეთის ჯარის უფროსად ითვლება სარდარ-ეკრემი აბდულ ჰერიმ-ფაშა, დუნაის არმიის უფროსად ახმედ-ეიუბ-ფაშა. დუნაის არმია შეიცავს ამჟამად 227 ბათალიანს, 44 ესკადრონს და 388 ზარბაზანს. რადგან ოსმალეთის თითო ბათალიონში 700 კაცი ითვლება, მაშ ამ ანგარიშით გამოდის, რომ მარტო დუნაის არმიაში (ე. ი. რუსჩუკში, შუმლაში, ვიდდინში, დობრუჯუში და საზოგადოთ სამხრეთ ბოლგარიაში) ოსმალოებს ჰყოლიათ 160,000 კაცი ქვეითა ჯარი, 6,500 ცხენოსანი და 388 მინდვრის ზარბაზანი. ამას გარდა აქვე არის 20,000 ცხენოსანი ჩერქესის ჯარი.

ალბანიის ჯარის სარდლად არის ალი-საიბი; აქ დაყენებულია 18,000 კაცი 36 ზარბაზნით.

ზერცოგოვინაში სულეიმან ფაშის ხელ-ქვეევით არის 37 ბათალიონი 54 ზარბაზნით.

საბერძნეთის სამზღვარზე ახმედ-ფაშას ჰყავს 25 ბატალიონი 30 ზარბაზნით.

სტამბოლში დარჩენილია კიდევ 36 ბატალიონი ჯარი და 20 ესკადრონი 42 ზარბაზნით, რომლის სარდლადაც დანიშნეს ზამიტ-ფაშა.

ამას გარდა ჩერნოგორიაში ორი დივიზიაა და 4 ესკადრონი 12 ზარბაზნით.

ამ ნაირად, ზემო-ხსენებული კორრესპონდენტის სიტყვით, მთელს ევროპაში ოსმალეთს ჰყავს ამ ჟამად 412 ბატალიონი, 75 ესკადრონი და 590 მინდვრის ზარბაზანი, ანუ 290,000 კაცი ქვეეითა ჯარი, 32,000 ცხენოსანი და 12,000 ალბანიელი.

მთელი მცირე აზიის ოსმალეთის ჯარის უფროსად ჯერ კიდევ შუხთარ-ფაშა ითვლება, თუმცა გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ არტაანის დათმობისათვის ოსმალეთის მთავრობა იმას სამსახურიდამ გადაყენებასა და სამხედრო სამართალში მიცემას უპირებსო. ბათუმის ჯარის უფროსი არის ჰასსან-მახზინ; ალი-ფაშა ყინტრიშის ატრიადის უფროსია; სელიმ-ფაშა არზრუმის კორპუსის სარდალი; ნეზრედ-ფაშასა და ჰასსან-ფაშას ჩურუქ-სუს ჯარის უფროსობა აქვთ მინდობილი.

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲮᲛᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲓᲐᲛ

I

მართალია, თვითეული პიროვნების და მრთელი კაცობრიობის აღზრდაში ვერ-ვინ ვერ გაიყვანს მტკიცე და სრულს ანალოგიასა; ეს არ შეიძლება, რაც თავიანთ თხზულებით ცხადათ დაამტკიცეს ძველი და ახალი დროების ზოგიერთა მსწავლულებმა; მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება კაცმა არ შენიშნოს, რომ მათში ბევრი მსგავსება და ერთობა არის.

დაბადებიდამ მოყოლებული თითქმის შვიდ-რვა წლამდისინ ადამიანი სცხოვრობს მხოლოდ ერთი გარეგანი ბუნების სიცოცხლით. ის, რასაც დიდები გონების საუნჯეს, შინაგან ქვეყანას ვეძახით, არ არის ჯერ მასში. ქაცური ინსტიქტების წყალობით, რომელნიც შთამომავლობით გადმოდიან მასში, ბავშვი თავის გაუგებრად სცდილობს სიცარიელის ავსებას, გონეაითი საუნჯის შემოკრეფას. ამისგამო მისი გრძნობანი და აზრი თითქმის მხოლოდ გარეგანი ბუნების მოვლენებათზედ არიან მოქცეულნი. ბავშვის გულისყურს იტაცებს ურმის ჭრიალიც, მფრინველის ფრენაც, ადამიანის მოძარობაც, ელვა, ქუხილი, წვიმა, თოვლი და სხვ. ერთის სიტყვით გარეგანი ბუნების მოვლენებანი არ აძლევენ ბავშვს მოსვენებას

ამ დროს ადამიანი გარეგანი ბუნების სრული მონაა. ის ჯერ ვერ იცნობს თავის თავს, არ ჩაუხედნია თავის შინაგან ქვეყანაში, რადგანაც ეს აქამომდე არ იყო მასში.

ბავშვი იზრდება; ხდება ათის, თორმეტის, თხუთმეტის წლის... ამ ხანაში ადამიანი მარტო გარეგანი ბუნებით აღარ სცხოვრობს. ეს იმისგამო, რომ მან თვისი გრძნობების მუშაობით შეიძინა რაღენიმე გამორკვეული ცოდნა: მას აქვს მრავალი წარმოდგენანი. მეხსიერების წყალობით და ჭკუის შემწეობით ის ნელ-ნელა აშენებს თავის შინაგან ქვეყანას. ამას გრძნობს თვით ადამიანი. მას თვალწინ ახლა არა მხოლოდ გარეგანი ბუნება უდგა: გარეგან ბუნებას ის წინ უყენებს ახლა თავის თავს. ამ დროდამ მოკიდებული ადამიანის აზრი მალ-მალ იქცევა შინაგანი ბუნების მოვლენებათზედ. შედეგი ამის არისა ავათ თუ კარგათ თვისი თავის გაცნობა ადამიანისა.

II

ასე მიდის თვითეული პიროვნებისგან, გონებითი წინსვლის და განვითარების ისტორია!

ჩვენ რომ ახლა თვალი გარდავავლოთ

ამ ნაირად მცირე აზიაში ოსმალეთს ჰყავს სულ 104 ბატალიონი, 24 ესკადრონი და 96 მინდვრისა და მთის ზარბაზანი, ანუ 73,000 ქვეითა ჯარი და 3,600 ცხენოსანი. (ამ რიცხვში სოხუმში გამოსული ოსმალოს ჯარი და ჩერქესები არ არიან მოხსენებულნი).

ზოგიერთს ინგლისურს გაზეთებში იწერებიან, რომ ოსმალოებს განზრახვა აქვთო, რომ ამ მოკლე ხანში ოდესსას მიადგენენ თავის ჯავშნიანი ხომალდებით და ზარბაზნების სროლა დაუწყონო. ამბობენ, რომ ეს საქმე ბობარტ-ფაშისათვის მიუნდვიათ. მკითხველმა იცის, რომ ამ ჟამად ბობარტ-ფაშა შავი ზღვიდამ სტამბოლს დაბრუნდა.

—

იწერებიან, 20 მაისს, რომ საბერძნეთის მართებლობას განზრახვა აქვსო სათადარიგო ჯარების ბანაკები სამს ადგილას გააკეთოსო. ამ ჯარებს ოცი ათასი კაცი შეადგენსო. სამზღვარს გარეთიდამ იქ ძრიელ ბევრი სამხედრო იარაღები მისვლიათ, სხვათა შორის ამერიკასთან მოლაპარაკება აქვს საბერძნეთის მართებლობას ჯავშნიანი გემების ყიდვის თაობაზე.—

—

ათინიდავე, 22 მაისს, იწერებიან, რომ ქუმუნდურუსი ყოველ გვარ საშუალებას ხმაროობსო ოსმალოს წინააღმდეგ 40 ათასი კარგათ შეიარაღებული ჯარი გამოიყვანოსო. ამბობენ, რომ საბერძნეთი ექვსი კვირის შემდეგ გამოუცხადებს ოსმალოს ომსაო.

—

ვ ე ნ ი დ ა მ, 20 მაისამდე იწერებიან: სტამბოლიდამ მოსული ამბებიდამ სჩანს, რომ მცირე აზიაში ოსმალოს საქმე სრულებით წაგებულია და რომ ოსმალოს მართებლობის უკანასკნელი იმედი კავკაზიაში მცხოვრებთ მაჰმადიანების აჯანყებაზე და შავის ზღვის ნაპირებზე და ყირიმზე არის კიდევ დამყარებულიო.

—

ვენის ერთი გაზეთი „ვენის დღიური“ გვაცნობებს, რომ სერბიელ სამხედრო პარტიას განუზრახავს მილანის ტახტიდამ ჩამოგდება და ამის მაგიერ ჩერნოგორიის თავადის ნიკოლოზის მოწვევა უნდაო.

—

რუსული გაზეთი „ბირჟის უწყებები“ ამბობს, რომ ამერიკის შტატებში ძრიელ ბევრს აფიცრებს სურვილი განუცხადებიათ რუსეთის დახმარებისა.

საქართველო

ქალაქის რჩევის სხდომა

30 მაისს

ორს ყურადღების ღირსს საგანზე იყო სჯა გასულ ორშაბათს ჩვენს ქალაქის რჩევაში. პირველი—ახლად ასაშენებელ თეატრისათვის ადგილის შეძენაზედ და მეორე—ქალაქის წრეს გარეთ სასაფლაოების გადატანაზე.

თეატრის თაობაზედ ბაასის დროს აღმოჩნდა, რომ დ. მ. კავკასიის ნამესტნიკი არ დათანხმებულა, რომ ახალი თეატრი ააშენონ ალექსანდროვის ბაღში, არ დათანხმებულა იმიტომ, რომ ქალაქს ეს ალექსანდროვის ბაღი ერთად-ერთი ბაღი აქვსო—შუა, მოხერხებულ ალაგას და იმის შემცირება მავნებელი იქნება ქალაქის ხალხისთვისაო.

ამ ადგილის მაგივრად დ. მ. ნამესტნიკს წინადადება მიუცია ქალაქისთვის ჩიტახოვის და ზუბალოვის ადგილის, შეძენისა რომელიც ბოლოვინის პროსპექტზე არის და რომელსაც პატრონები 136,000 მანეთად ჰყიდიან.

ძველი თეატრის ადგილის ფასად ქალაქმა სულ 150,000 მანეთი უნდა მიიღოს უუ. თამამშოვებისაგან. ამ ფულებიდამ 70,000 მანეთი უკვე შემოუტანიათ; მაშ დარჩა მისაღები კიდევ 80,000 მან.

კავკასიის მთავარ სამმართველოს ჰაზრით, ეს 70,000 მან. ახლავე მისცეს ქალაქმა იმ ადგილის ფასად ჩითახოვს და ზუბალოვს და დანარჩენი მაშინ, როცა თამამშოვები შემოიტანენ.

ქალაქის რჩევამ გადწყვიტა—მიანდოს ქალაქის ბამგეობას, რომ ზემოხსენებული ადგილის გაყიდვის თაობაზედ ზუბალოვსა და ჩითახოვს მოელაპარაკოს და შემდეგ იმათ უკანასკნელი სიტყვა ქალაქის რჩევას მოახსენოს.

მეორე საგანი—სასაფლაოების ქალაქის წრეს გარეთ გადატანა—უფრო მომეტებულ ყურადღების ღირსია. რადგან დამტკიცებული, რომ მცხოვრებლებისათვის ძალიან მავნებელია, როცა სასაფლაოები შიგ ქალაქში იმყოფება, ამის გამო მთავრობასა და ქალაქის ბამგეობასაც დიდი ხანია განზრახვა ჰქონდათ, რომ ეს სასაფლაოები სადმე ქალაქს გარეთ გადაეტანათ.

ამ ორშაბათის სხდომაზე ბამგეობამ მოახსენა ქალაქის რჩევას, რომ, იმის ჰაზრით, ყველას ის ემჯობინება ქალაქმა ნავთლუხში 60 დესიატინა მიწა დაუთმოს სასაფლაოებისათვის და აქ გადაიტანოს ქალაქის ყველა რჯულის ხალხის სასაფლაოები.

ამ წინადადებამ ერთი ალიაქოთი მოახდინა კრებაში: ზოგი ამბობდა, რომ მაჰმადიანი თავის დღეში არ დათანხმდებაო, რომ ქრისტიანთან დამარხონო (ამის მთქმელს მგონი თვითონ ეთაკილებოდა მაჰმადიან მიცვალებულთან საუკუნოთ მოსვენება); ზოგი ამტკიცებდა, რომ ნავთლუხიდამ მუდამ ქარი ჰქრისო, ეს ქარი პირ-და-პირ ქალაქისაკენ მოდის და ავნებს მცხოვრებლებსო; ზოგმა კიდევ ის მოიყვანა საბუთად, რომ ნავთლული შორს არის, ღარიბ ხალხს იქ თავიანთ მიცვალებულის წაყვანა გაუჭირდებათო და სხვ.

ბოლოს დიდი ხნისა და გაცხარებული ბაასის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ბამგეობას მიანდონ ამ საგნის თაობაზე შეკრიბოს სხვა-და-სხვა სჯულის სამღვდელოების ჰაზრი, აგრეთვე ჰკითხონ ექიმებსა; მერე, როცა ყოველ გვარს ცნობებს შეჰკრებენ, შეადგინონ ხელახლად პროექტი და განსასჯელად რჩევას წარმოუდგინონ.

მთელი კაცობრიობის აღზრდის ანბავს, თითქმის ამასავე შევნიშნავთ იქაც. ჩვენთვის, რასაკვირველია, სიჭირო არ არის, რომ ჩვენი ბაასი კაცობრიობის გონებითი გახსნის თვით დაბალ ხარისხამდის გავაძაბოთ: რა საჭიროა, რომ ჩვენ დავიწყოთ ლაპარაკი მასზედ თუ მომავალი ადამიანი როგორ სცხოვრობდა ტყეში!.. ჩვენთვის საკმარისია ისიც, რასაც ნამდვილად გვეუბნება ისტორია ადამიანის წარსულ ცხოვრებაზედ.

ამ ისტორიის წყალობით ჩვენ ვტყობულობთ, რომ მთელი კაცობრიობის აღზრდაშიც ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც თვითეული პიროვნების გონებითის წინსვლაში. ისე რიგორათაც ბავში, კაცობრიობა თვის გონებით დაბალ ხარისხზედ სცხოვრობს მხოლოდ ერთი გარეგანი ბუნების მოვლინებაებით: კაცობრიობის აზრი იქცევა პირველად იმ საგნებისაკენ, რომელნიც მის გრძნობაზედ დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. მთა, ღელვა, მდინარე, ზღვა, ცხოველი, ცა და სხვ. ყოველი მხრიდამ ეწევიან თვისკენ კაცობრიობის გრძნობებს.

კაცობრიობა ამ ხანში საცოდავი წარმოსადგენია: ის ერთად-ერთი ხდება სრულ მონათ გარეგანი ბუნების ათას გვარ მოვლინებაებისა. რა ჰქმნას მან? აი, ესთქვათ, დაიგრიალა მეხმა. ადამიანს თავზარი ეცემა, მისი მუხლები რეჭლექტიურად იხმუჭება, ეცემა მუხლებზედ, და თავმდაბლად სცემს თაყვანს თავის ბატონს, ღმერთებს.

ბადიან საუკუნოები. კაცობრიობაც, პიროვნების გვარად, გონების ვარჯიშობასა და განვითარებაში მიდის წინ, აშენებს მეცნიერებათა საფუძველს და ნელ-ნელა გამოდის გარეგანი ბუნების მონობიდამ. რაკი კაცობრიობის მდგომარეობა აქამდისინ მიდის, ის აღარ სჯერდება მხოლოდ გარეგანი ბუნების მოვლინებათა შეცქერას. მას ახლა სხვა ქვეყანაც აქვს, ანუ სწორეთ, თვისი შინაგანი ქვეყანა, რომელიც ამ დროდამ გარეგან ქვეყანაზედ უფრო საინტერესო ხდება მისთვის. ეჭვი არ არის, რომ ბევრმა დრომ უნდა გაიაროს, სანამ კაცობრიობა, ანუ მისი ინტელიგენცია, მივა ამ წერტილამდისინ. არც მასშია ეჭვი, რომ ეს გონებითი ნაბიჯი დიდათ შესამჩნევ ნიშანს სდებს ადამიანის ზნეობით წინსვლის გზაზედ. ბაცალკეევებით, შედეგების მიუხედველად რომ ავიღოთ ეს მოვლინება, ე. ი. ადამიანისგან თავისთავზედ ყურადღების მიქცევა, ბევრ არაფრად გვეჩვენება ჩვენ ის; მაგრამ ყოველი მოვლინება უნდა ფასდებოდეს თვისი შედეგების დაგვარად. ადამიანი თვისი ბუნების საზოგადო გაცნობით ისევ

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ვინც ჩვენს გაზეთს გულს-მოდგინებით თვალ-ყურს ადევნებდა, ის დაინახავდა გაზეთის უცხო-ქვეყნების მიმოხილვიდამ, რომ ის არ ეკუთვნის იმ გაზეთების რაზმს, რომელნიც, ზოგიერთ აფიციალურის ცნობებისა და სამზღვარ გარეთის გაზეთებისაგან შეთხზული ამბების წყალობით, არაფერს არ ჰშურავენ, რომ ოსმალეთის სახელმწიფო დაამციროს და დაამდაბლონ ქვეყნის თვალში; ისინი ყოველის მხრით სდევნიდნენ და აძაგებდნენ ოსმალეთის მმართველობის ახალს ფორმას—კონსტიტუციას, ამ უკანასკნელის გამომეტყველს დეპუტატების პალატასა და სენატს, თვით ოსმალოს ხალხს, ამის ხასიათებს და მიმართულებას; ერთის სიტყვით, ამათთვის არაფერი არა მოიძებნებოდა-რა ოსმალეთში ისეთი, რომ მიუდგომლის თვალით შეხედვისა, ყურადღების და პატივისცემის ღირსი ყოფილიყო. ჩვენ ყოველთვის დიდის სიფრთხილით ამოგვქონდა ამისთანა ცნობების გამავრცელებელი გაზეთებიდამ ოსმალეთის შესახებ რაშე ამბები; არასოდეს არ ვფარავდით ნამდვილს ამბავს და, რამდენათაც გაზეთის სიდიდე ნებას გვაძლევდა, ყოველთვის იმისთანა ამბებსაც ებეჭდავდით ხოლმე, რომლებშიაც ბევრს შემთხვევაში ოსმალოს სახელმწიფო ცუდის და გასაკიცხის მხრით იხატებოდა.

ბევრი რამ გასაკიცხი არამც თუ ოსმალეთში იპოება, რომელმაც მონარხიული მმართებლობის კანი პირ-და-პირ და ეგების მოუმზადებლად კონსტიტუციალურს მართებლობის კანზე შესცვალა, არამედ იმისთანა სახელმწიფოებშიაც, რომელთაც მონარხიული მმართებლობის ფორმაც გამოუცვლიათ, კონსტიტუციოლურიც და დღეს კი სრული თავისუფლების გამომეტყველი სახელმწიფოს მართველობის ფორმით სარგებლობენ.

ოსმალეთის არსებული კონსტიტუცია ჯერ გამოცხადებული არ იყო, რომ ის სასაცილოთ აიგდეს:—„ვინ ოსმალო, ვინ კონსტიტუციაო,—ამბობდნენ ოსმალოს გადამტერებული გაზეთები.

მაგრამ რომ გამოაცხადეს კონსტიტუცია და დეპუტატების პალატის სხდომებსაც რომ თვალ-ყური ადევნეს და მიუდგომელის თვალით შეხედეს იქ აღძრულ კითხვებზე მოლაპარაკეთ მსჯელობას, ცოტა არ იყოს თავიანთი წინაშედგენილი ჰაზრი გამოცვალეს. ბევრი იმათგანი სირცხვილით ამბობდა, რომ დეპუტატების პალატის წევრებში ბევრი გამოჩენილნი და კარგათ, ჯკვიანათ და ხალხის ინტერესებზე ნათლის თვალით შემხედვარე წევრები არიანო.

ამ უკანასკნელი შეხედულობის დასამტკიცებელათ თავის დროზე ჩვენც მოვიყვანეთ ორიოდე მაგალითი დეპუტატების პალატის იმ სხდომებიდამ, რომელზედაც თავიანთი მჭევრმეტყველობითადა მსჯელობით პროვინციებიდამ გამოგზავნილმა დეპუტატებმა გამოიჩინეს თავი. ეს იმ პირველ სხდომებთაგანი იყო, რომელზედაც სახელმწიფოს ხაზინის მდგომარეობაზედ იყო ლაპარაკი.

დღესაც გვაქვს შემთხვევა მოკლეთ გავაცნოთ მკითხველი დეპუტატების პალატის ერთს სხდომას, რომელზედაც ოსმალოს მართებლობისაგან ლონდონში სამი მილიონი ვალის აღებაზე იყო ბაასი.

საუბედუროთ, ოსმალოს ხაზინა იშვიათად იყო კარგს მდგომარეობაში და დღეს ხომ, როდესაც ამდენი უანგარიშო ხარჯი აქვს, სრულებით დავარდნილია და დაღატაკებულია. ამ მდგომარეობაში ის მხოლოდ ინგლისის ბანკირებით იმედობს კიდევ, თორემ სხვა სახელმწიფოების ბანკირებთან მას სრულებით აღარა აქვს კრედიტი (ნდობა). ეხლა ამ სამი მილიონისათვისაც ინგლისს მიჰმართა და ამ განზრახვით გაგზავნეს, ფინანსთ მინისტრის მინდობილობით, იქაურ ბანკირებთან ზუდი-ეფენდი, რომელსაც ძრიელ ცუდი სახელი აქვს მთელს ოსმალეთში. ამ განკარგულებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი სხვათა შორის დეპუტატების პალატის იმ სხდომაზე, რომელიც 14 მაისს იყო დანიშნული. ერთმა დეპუტატმა, რომელსაც ძრიელ არ მოსწონდა ამ ვალის ასაღებათ ზუდი-ეფენდის შუამდგომლობა, როგორც უპატიოსნო, უნიჭო და გაიძვერა კაცისა, დაიწყო ამ მართებლობის განკარგულებაზე ლაპარაკი. თავად ზუდი-ეფენდის პიროვნობიდამ დაიწყო და ბოლოს ნელი-ნელა თვით მმართებლობას და ოსმალოს შემძლე პირების ყოფაქცევასაც შეეხო, რომელნიც სრულიად არაფრით არ ეხმარებიან თავის სამშობლოს და ისევ უწინდლურად მდიდრულათ და უდარდელად ჰფანტავენ თავიანთ შეძლებასო. იმ დროს, როდესაც მათი სამშობლო ასე მათხოვრობით ეძებს სასესხებელს ფულს სხვა სახელმწიფოებშიო:

„ჩვენ ჩვენი უკანასკვნელი ფარა და თვით ჩვენი შვილებიც, რომელნიც თქვენთვის იბრძვიან დღეს, შესწირეთ ჩვენს სამშობლოს და თქვენი შვილები და თქვენ თავთ კი რას შვრებით? იმ დროს, როდესაც ჩვენს სამშობლოში ზოგიერთ ადგილას შიმშილით იხოცება ხალხი, თქვენ განა ერთი იოტის-ოდენა მოუკლია თქვენს ყოფა-ცხოვრებას და სიმდიდრით უდარდელად ფლანგავს? თქვენ იმდენათ არ თან უგრძნობთ საერთო სამშობლოს უბედურებას და გაჭირებას, რომ არამც თუ სისხლი, თქვენი ოქროც არ გინდათ, რომ მოახმაროთ მას! ყოველ გვარი უბედურება ჩვენ, უბრალო მამაკვდავებს, გვაწუდება თავზე, მაშინ როდესაც თქვენ სრულს ნეტარებაში და განცხრომაში ატარებთ თქვენ სიცოცხლეს. თქვენც იტყვით—სამშობლოს შვილნი ვართო.“

„ამ ალეპის დეპუტატის ცხარე და გრძნობით ნათქვამმა სიტყვამ წარმოუდგენელი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზედო, ამბობს ერთი ინგლისური გაზეთის იმ სხდომაზე დამსწრე კორრესპონდენტი; და თავმჯდომარემ ვერაფერი ღონის-ძიებით ვერ მოახერხა, რომ დეპუტატების აღელვება დაუცხრო და დაემშვიდებინაო.

ძველი დროდგანვე ისეთ ანბებს ახდენს დედამიწაზედ, რომელთაც ხან სიმოვნებით შესცქერის თანამედროვე ადამიანი და ხან—უფრო მომეტებულად—ზიზღითა და ნაღვლიანი გულით იგონებს მათ.

სწორეთ ამ შედეგების წყალობით ადამიანისგან თვისი ბუნების საზოგადო გაცნობა ჩვენთვის დიდ მნიშვნელობას იჩენს.

და სწორეთ ამ შედეგების გაკვრით, „გაზეთურად“ განხილვა არის მიზანი ამ ჩვენი წერილისა.

III

პირველი დიდათ და ისტორიულად თავის გამოჩენა ადამინისგან თვისი ბუნების გაცნობის შედეგების ქრისტეს წინა მეცხრე საუკუნეში მოხდა. 888 წელს საბერძნეთის გამოჩენილმა სჯულის-მდებელმა ლიკურღმა გარდასცა სპარტელებს თავისი კანონები. ამ კანონებით ლიკურღს უნდოდა თვისი სამშობლოს ამაღლება: მას სურდა, რომ მისი თანამემამულენი გამხდარიყვენ მაგარის და ამტანის აგებულების მეომრები. ამისათვის მან მიმართა იმგვარ საშუალებათ, რომელნიც ამაგრებენ კაცის სხეულს, უკლავენ შთაბეჭდილების სიცოცხლეს, ხსნიან და ავარჯიშებენ პირუყტეულ ინსტინქტებს ადამიანში.

ლიკურღმა მიაღწია თავის მიზანს. სპარტელები გახდნენ მეომარი მხეცები, რომელთაც არა თუ არავითარი სათქმელი საუნჯე არ შეეტანეს კაცობრიობის განათლების ტაძარში, არამედ გახდნენ დაუძინებელნი მტერნი ამ განათლებისა. მათ დასცეს ათინის კედლები და ამ ნანგრევებში დიდ ხნობით ჩამარხეს საბერძნეთის ცივილიზაცია.

ეჭვი არ არის, რომ, როდესაც ლიკურღმა ამ გვარად მოიწადინა თვისი თანამემამულეების გადაცვლა, მას წინ ედგა ადამიანის ბუნების ცოდნა: მან იცოდა, რომ აღზრდის სხვა და სხვა საშუალებით შეიძლება ადამიანის აზრს, მოქმედებას, ბუნებას მისცეს იმ გვარი მიმართულება, რა გვარიც სწადიან მიმცემს, თუ კი ეს წადილი ადამიანის ბუნების კანონების წინაალმდეგ არ მიდის. ამ ცოდნაზედ ააშენა ლიკურღმა თვისი კანონთმდებლობა და, როგორც საზოგადოთ დავინახეთ, არც მოსტყუედა თავის განზრახვაში.

თქვენებური

(ბაგრძელება)

ქიევი, 6 მაისს

ᲝᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ *)

(„Დროების“ მე-36 და 37 ნომერში დაბეჭდილის „მასწავლებლის წერილის“ გამოსობით)

(დასასრული)

რისგან დაემართა ამ გვარი უბედურება ამ სასწავლებელს? უპირველესი მიზეზი ამისა იყო და არის არა-პედაგოგიურათ შკოლის დაფუძნება, არა ისრე საქმის წაყვანა, როგორც მოითხოვს წმინდა და სწორი სწავლა. Არამედ ისრე როგორც მოუნდებათ ვინმე ზ., ლ., ს. ანუ X—ს.

Აი მოიყვანეს 8—9 წლის ქართველი ბიჭი. Ამან ვერც კი მოასწრო კისრის გაჭსწორება, როგორც დაუწყეს მას ჩიჩინი მისთვის სრულებით გაუგებარ ენაზედ, რომლის მსგავსი მის ყურებს არა ჭსმენია. მასწავლებლებმა დაუწყეს ბავშვებს—მამისათა—во имя отца, და ძისათა—и сына, და სულისა წმინდისათა, ამინ—и святаго духа, аминъ, ანუ კითხვის დროს учебныя вещи—სასწავლო ნივთები, книга,—წიგნი тетрадь—რვეული, аспидная доска—ასპიდის დაფა და სხვა ამისთანაები, ე. ი. დაუწყეს მას ყველა სასწავლო საგნების გარდაცემა სხვა, ეხლანდელი პედაგოგების ბრძენი ჭკვით გამოგონილის ქართულ-რუსული ენით.

Ოუ არ ამ გვარი ანტი-პედაგოგიური ყოფაქცევით, მაშ რითი აიღსნება ის სამწუხარო მოვლინება, რომ ყველა ჩვენ სახალხო შკოლებში,—განთქმულებში და პრა-განთქმულებში, ყმაწვილები ისეთი არეული კილოთი, იგვეთის ხმების მტვრევით, ისეთი ტუტუცი პირისახის გამომეტყველებით გიკითხვენ რუსულათ რომელიმე ლოცვას ანუ საუბარს რაიმე საგანზე, რომ ღვთის მოყვარე კაცი ამ გვარათ ლოცვის წაკითხვას ნამდვილათ მიიღებს სამასხაროთ Ღმერთზე და მის წმინდა არსებაზე დაცინვათ! ნუ თუ ამ გვარად ლოცვის შეჭსწავლა, წაკითხვა, ანუ სხვა რომელიმე საუბრისა გადმოცემა, ნამდვილი მასხარობა და ოხუნჯობა არ არის Ღმერთზე და თვით მთელ რუსის ხალხზე და მის ენაზე?... მე კი სულით და გულით გეტყვით, რომ, თუ ჩვენი სამშობლო იქნებოდა იმ გვარ მდგომარეობაში, რომ მის ენაზე სწავლის ვალდებულნი იქნებოდნენ უცხო თემნი, როგორც ეხლა ვალდებულნი ვართ ჩვენ და სხვები—ვასწავლოთ რუსულ ენაზედ, მე, ამაყი ჩემი ხალხის თავმოყვარეობით და პატივის-ცემით, მშვენიერი ენის სიწმინდის დაცვისათვის, პირველი მოვსპობდი ზემო-თქმულ-გვარად დამახინჯებულ ენაზე სწავლას, ვიდრემდის ბავშვები არ ილაპარაკებდნენ წმინდა ქართული ენით!! ჩვენი პედაგოგები კი ზემოთქმულ-გვარად რუსულ ენაზე ლაპარაკის შემდეგ კიდევ სწერენ მთავრობას, რომ ამა-და-ამ შკოლაში—„въ особенности прекрасны успѣхи въ русскомъ языкѣ“ და სხვ...

*) „Დროება“, № 58.

Ამის შემდეგ, კიდევ ჩივიან, რომ ჩვენ ხალხში აღარ არის რწმუნება და პატივის-ცემა იმ სჯულისადმი, რომლის მეოხებითაც ერთ დროს ჩვენი ქვეყანა იყო ქვაზედაც უმთავრესი, საესე ყოველის პატიოსნებითა, კაცობრიული გრძოებებითა! Ერთი მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე, რის სიყვარული და რის რწმუნება-ღა იქნება იმ სწავლისადმი, რომლიდამაც გულს არაფერი არ აღელვებს, არაფერი არ ათბობს, და არ აღელვებს, არ ათბობს, რადგანაც მთლათ ეს სწავლა მას გარდაეცემა მისთვის სრულებით გაუგებარ ენაზედ!

Ერთი ნახეთ 1874 წელს გამოცემული „Პროგრამმა ქრისტიანობის Აღმადგინებელ საზოგადოების შკოლებისა“ და მაშინ უფრო კარგათ იგრძნობთ ზემონათქვამი სიტყვების სიმწარეს! Პირველ გვერდზე ამ პროგრამმისა მოხსენებულია, რომ ახლად შემოსულ ბავშვებს უნდა კარგათ აუღსნან სამშობლო ენაზე Ღმერთზე, სამებაზე, პირჯვრის წერაზე; მაგრამ საუბედუროთ ეს კეთილ-გონიერი განზრახვა ბოლომდის არ გაუტანია მის შემდგენელს და გზა გადუჭრია ყმაწვილის გონების გახსნისათვის: იმავე გვერდზე ნათქვამია, რომ მასწავლებელმა იმავე წელს უნდა გარდასცეს სურათების შემწეობით, შემდეგი: ქვეყნის და ადამიანის შექმნა, პირველი ადამიანის ცხოვრება სამოთხეში და მათი ცოდვის შთავარდნა, დაპირება მაცხოვრისა, მთელი წლის თორმეტი დღესასწაულები და ლოცვები: სახელითა მამისათა..., მამაო ჩვენო და სწავლის წინ და სწავლის შემდეგ ლოცვები და ყველაფერი ეს უნდა გარდაეცესო სამშობლო და რუსულ ენაზედ.

Ახლა წარმოიდგინეთ, იმ ბოვშვების გულითადი სიმწარე, რომლებსაც მართლაც რომ მოუხდებათ ამოტელა მასალის უცხო ენაზე პირველივე წელს შეჭსწავლა! Ათასჯერ არა სჯობია, დაწყობაშივე გზის გადაჭრის მაგიერათ გავაგრძელოთ ეს სწორეთ და პედაგოგიურათ დაჭერილი საქმე რამდენიმე წლისა და არა რამოდენიმე თვისა, ვიდრემდის ყმაწვილები ისე შეისწავლიან რუსულ ენას, რომ ადვილათ შეეძლებათ ყველა საუბრების გაგება და გადმოცემა ამ ენაზედ? Და რომ ეს შეიძლება, ამაში ხომ ეჭვი არ არის. ჩვენში რუსული ლაპარაკის შეჭსწავლის გზა ისრე გაადვილებულია, რომ თუ შკოლამ პირველ-დაწყებითი სწავლა პირველ წელიწადს სამშობლო ენაზე წაიყვანა და მხოლოდ მეორე წელზე, როდესაც ბოვშვები, ცოტა არ იყოს, გაიხსნებიან და მოხალისდებიან სწავლაში, მოუმატა მათ შკოლაში რუსული ენაც, დარწმუნებულნი ვიყვნეთ 6—7 თვის განმავალობაში ყმაწვილები ისრე კარგათ შეიჭსწავლიან ამ ენას, რომ მათთან ადვილათ იქნება ვიკითხოთ რუსულ ენაზე დაწერილი პირველი საკითხავი წიგნები ისე, როგორც ნამდვილ რუსებთან. Ამ ორი წლის განმავლობაში კი, ვიდრემდის ყმაწვილები შეისწავლიან რუსულ ენაზე, ჩვენ ძველ ზეციურ უკეთესათ და სასარგებლოთ შეგვიძლიან გარდავსცეთ მათ სამღთო წერილიც, ლოცვებიც, არითმეტიკაც, კითხვა-წერვაც და ყველაფერიც. Ან რა საჭიროა, რომ სამშობლო ენაზე შეჭსწავლილი და გაგებული საქმე, კიდევ ხელმეორეთ ვასწავლოთ უცხო ენაზე? Ერთის და იგივე საგნის ათასჯერ განმეორება აძულებს ბავშვებს სწავლას, აკარგვინებს ძვირფას დროსა! Ის არა სჯობია, რომ პირველ ორ-სამ წელს, ვიდრე ყმაწვილები კარგათ შეისწავლიან რუსულ ლაპარაკს და კითხვა-წერვას, ჩვენ ყველა სასწავლო საგნები ვასწავლოთ სამშობლო ენაზედ, და მხოლოდ შემდეგ შეუდგეთ სხვა და სხვა საგნების გარდაცემას ამ რუსულს ენაზედ?

Ბვეყოთ ამდენი ლაპარაკი ამ ორ სასწავლებელზე. Მგონი მკითხველის გულმა კარგათ იგრძნო, რომელი ამ ორ სასწავლებელთაგანი უფრო თამამად, უფრო მკვიდრად და უფრო დაუბრკოლებლივ ელტვის თვის მიზანს და ამისდა-გვარად რომელი მათგანი უფრო სასურველია ჩვენი ქვეყნისთვის.

პარტიზანი

Ბორი, 12 მაისს

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ვისაც ეჭირება კაცი, რომელმანც იცის ბუხღალტერიის ანგარიში, კანტორის გამგეობა ანუ ვისაც უნდა საანგარიშო ანუ სხვა რაიმე საქმის გამგებელი, შეუძლიან მიმართოს „Დროების“ რედაქციაში.

(3—1)

LA VELOUTINE

(ᲕᲔᲚᲣᲢᲘᲜᲘ)

ერთნაირი ბრინჯის ᲞᲣᲓᲠᲘ (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

Ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

Კანს ეკერება და არა სჩანს.

Შ. ᲤᲐᲘ—ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘ

pommade satin

(ᲐᲢᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ეინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—138

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Іюня 1877 г. Типог. Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ